"სამხედრო შრომები"№ 3 (2024)
WWW.MILITARYPAPERS.ETA.EDU.GE/

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

მსხვრევადი და არშემდგარი სახელმწიფოები

ნინო გოგილავა[1]
DOI: https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8492

აბსტრაქტი

მსხვრევადი და არშემდგარი სახელმწიფოები, როგორც კონცეფცია, გულისხმობს ისეთი ქვეყნების მდგომარეობას, რომლებიც არ იძლევიან ეფექტური მართვისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ასეთ ქვეყნებში აღინიშნება მთავრობის ორგანიზაციული ხარვეზები, ძლიერი კორუფცია, პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობა, სამართლის უზენაესობის არარსებობა. ეს სახელმწიფოები ხშირად ვერ ახერხებენ ეკონომიკური განვითარების, ადამიანის უფლებების დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მყიფე სახელმწიფოების კონცეფცია მოიცავს ქვეყნებს, რომლებიც გადიან ამ გზაზე და რომელთა მდგომარეობა ძირითადად გაუწონასწორებელია, თუმცა ისინი ჯერ კიდევ არ არიან სრულად არშემდგარი. ასეთი ქვეყნები ხშირად ექვემდებარებიან სამოქალაქო ომებს, ეთნიკურ კონფლიქტებს და საერთაშორისო ჩარევას. ეს კონცეფცია კრიტიკული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ურთიერთობებში, რადგან მაჩვენებელი, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს სიძლიერეს, ხშირად განსაზღვრავს მის მდგრადობასა და კეთილდღეობას.

საკვანძო სიტყვები: მსხვრევადი სახელმწიფოები, არშემდგარი სახელმწიფოები, მყიფე სახელმწიფოები, პოლიტიკური სტაბილურობა, სახელმწიფო მართვა, კორუფცია.

[1] ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო რესურსების მართვის მსმენელი

"სამხედრო შრომები"№ 3 (2024)
WWW.MILITARYPAPERS.ETA.EDU.GE/

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

Fragile and unstable states

Nino Gogilava[2]
DOI: https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8492

Abstract

Fragile and failed states, as a concept, refer to the condition of countries that are unable to provide effective governance and ensure stability. In such countries, there are organizational flaws in the government, widespread corruption, political and social instability, and the absence of the rule of law. These states often fail to ensure economic development, the protection of human rights, and security. The concept of fragile states includes countries that are on this path, where the situation is generally unbalanced, although they are not yet fully failed. These countries are frequently subject to civil wars, ethnic conflicts, and international intervention. This concept is of critical importance in international relations, as indicators related to a state's strength often determine its sustainability and well-being.

Keywords: fragile states, failed states, governance, political stability, corruption, rule of law.

[2] Student of Master's Program in State Recourse Management of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

"მყიფე სახელმწიფოების" კონცეფცია ფაქტორების კომპლექსურ ურთიერთქმედებას მოიცავს, რომლებიც განსაზღვრავენ ერების მდგრადობასა და კეთილდღეობას. მოცემულ ნაშრომში მიმოხილულია აღნიშნული კონცეფცია და განხილულია მნიშნელოვანი გამოწვევები, რომლის წინაშეც შესაძლოა იდგნენ სახელმწიფოები.

მყიფე სახელმწიფოები მთელი რიგი პრობლემებით ხასიათდებიან, რომლებიც თავსი მხრივ მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია მდგრადი განვითარებისთვის. ეს პრობლემები სხვადასხვა ფორმით ვლინდება, პოლიტიკური არასტაბილურობიდან და ეკონომიკური უთანასწორობიდან დაწყებული სოციალურ არეულობამდე და ინსტიტუციურ სისუსტემდე. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ფაქტორები შეიძლება განსხვავდებოდეს, წამყვან/გამაერთიანებელ ფაქტორს ინსტიტუტები წარმოადგენენ, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან საფუძელს სახელმწიფოების შემდგომი კეთილდღეობისათვის.[3]

ძირითადი ნაწილი

სახელმწიფოების სისუსტე მათი ინსტიტუტების ბუნებაზეა დამოკიდებული როგორც წესი. სოციალური ჩარჩოები, რომლებიც მოიცავენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ სტრუქტურებს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერის განვითარების ტრაექტორიის ჩამოყალიბებაში. მყიფე სახელმწიფოები ხშირად ექსტრაქციული ინსტიტუტების ტყვეობაში არიან. არსებულ პირობებში ძალაუფლება და რესურსები კონცენტრირებულია კონკრეტული ჯგუფის ხელში, რაც ახანგრძლივებს ეკონომიკური იზოლაციისა და პოლიტიკური არასტაბილურობის ციკლს.

პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია არასტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ბევრ არასტაბილურ სახელმწიფოში პოლიტიკური ცენტრალიზაცია ხელს უშლის ინკლუზიური პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნას. ეფექტური „checks and balances" ურთიერთქმედების არარსებობა ძალაუფლების კონტროლის გარეშე გამოყენების საშუალებას იზლევა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კორუფციას და სახელმწიფოს შესაძლებლობების თანდათანობით შესუსტებას, რასაც თან სდევს პროცესი, რომლის შედეგადაც ვერ ხდება სახელემწიფოს მიერ სავალდებულო მომსახურების ეფექტურად მიწოდება მოქალაქეებისთვის. ამგვარ პირობებში ხშირია რესურსების გადანაწილების არაფორმალური მეთოდების ჩამოყალიბების შემთხვევა, რაც კიდევ უფრო ასუსტებს სახელმწიფოს და აძლიერებს მმართველ ელიტას.[4]

ეკონომიკური სტრუქტურებიც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს ძლიერებისა თუ სისუსტის განსაზღვრის პროცესში. ექსტრაქციული ეკონომიკური სისტემები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ პრივილეგირებულ ჯგუფებს და

[3] Robinson, Daron Acemoglu and James A. 2012. Why Nations Fail. New York: the United States by Crown Publishers.
[4] Federal Ministry for Economic Cooperation and Development (Ed). 2007. Transforming Fragile States: Examples of Practical Experience. UK: Nomos Verlagsgesellschaft.

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

მარგინალიზაციას უწევენ უმრავლესობას, ამძაფრებს უთანასწორობას და ხელს უშლის საერთო განვითარებას. ეკონომიკური ექსკლუზიურობა ხდება სოციალური უკმაყოფილების წყარო, რაც ბუნებრივია იწვევს არეულობას, ვინაიდან საზოგადოების რიგით წევრებს ამგვარ პირობებში განვითარებისა და კეთილდღეობის მინიმალური შესაძლებობები ეძლევათ.

საყურადღებოა კანონის უზენაესობა, ან მისი არარსებობა, ვინაიდან მას შეუძლია გადამწყვეტ როლს ითამაშოს სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერის განსაზღვრაში. მყიფე სახელმწიფოებს ხშირად არ გააჩნიათ ეფექტური სამართლებრივი ჩარჩო, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საკუთრების ლეგიტიმურობა, კონტრაქტების დაცვა და შესაბამისად საერთო სტაბილურობა. ეს სამართლებრივი ვაკუუმი ქმნის კორუფციისთვის ხელსაყრელ გარემოს, რაც კიდევ უფრო უთხრის ძირს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის სოციალურ კონტრაქტს.

არასტაბილური მდგომარეობების დინამიკა უფრო ნათელი ხდება ისტორიული და თანამედროვე შემთხვევების კვლევების შესწავლის გზით. ამგვარი ქეისები გვეხმარება გავაანალიზოთ ის მნიშნელოვანი ფაქტორები და გარემოებები, რაც ინსტიტუტებსის მორყევასა და საბოლოო ჯამში სახელწიფოს სიმყიფეს განაპირობებს. ამგვარი შესაძლებლობა არა ერთია, როგორც თანამედროვე სამხრეთ ამერიკულ ქვეყნებში ასევე აფრიკის კონტინენტზე. ძირეული ფაქტორი რაც აღნიშნულთან დაკავშირებით იკვეთება არის ის, რომ ინსტიტუტებს არ აქვთ უნარი მიაწოდონ საკუთარ მოქალაქეებს შესაბამის სერვისები. ამგვარ პირობებში წარმოქმნილი ვაკუუმის შევსება, როგორც წესი არაფორმალური ინსტიტუტებისა და ურთერთობების მეშვეობით ხდება. ამგვარი კავშირების პირობებში ბუნებრივია ყალიბდეა ინტერს ჯგუფთა მიერ ჩამოყალიბებული მონოპოლიები ძალაუფლებაზე, რაც თვაის მხრივ არ გამოირჩევა სტაბილურობით და არც საერთო კეთილდღეობის ზრდას ისახავს მიზნად.[5]

მყიფე სახელმწიფოები არაერთ გამოწვევას აწყდებიან, მაგრამ ამ გამოწვევების ფარგლებში ტრანსფორმაციის შესაძლებლობებიც იკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ სტაბილურობისკენ მიმავალი გზა შეიძლება რთული იყოს, ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა წარმოადგენს გზას, რომელიც სისუსტისა და არა მდგრადობის პირობებიდან თავის დაღწევის შესაძლებობას იძლევა. სხვადასხვა ქვეყნის წარმატებებისა და წარუმატებლობების შესწავლა პოლიტიკოსებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ პოტენციური სტრატეგიები მდგრადი წარმატების ხელშეწყობისთვის.

მყიფე სახელმწიფოების საკითხი სცდება ნაციონალურ საზღვრებს, ვინაიდან და რადგანაც სერიოზული გლობალური შედეგების წინაშე შეუძლია დაგვაყენოს. რეგიონში მყიფე სახელმწიფოს არსებობამ შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო ფართო გეოპო-

[5] Federal Ministry for Economic Cooperation and Development (Ed). 2007. Transforming Fragile States: Examples of Practical Experience. UK: Nomos Verlagsgesellschaft.

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

ლიტიკურ არასტაბილურობას, რომელიც გავლენას ახდენს მეზობელ ქვეყნებზე და საერთაშორისო საზოგადოებაში. ამგვარი შემთხვევების არა ერთ მაგალითს ვაწყდებით. მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ ტერორისტული თუ დანაშაულებრივი ორგანიზაციების აქტივობები ამა თუ იმ ქვეყანაში, რის საპასუხოდაც მეზობელი სახელმწიფოები საკუთარი ძალოვანი უწყებების საზღვრებთან მობილიზაციასა და დროებით საზღვრის კვეთის შეჩერებასაც კი მიმართავენ. გლობალური გამოწვევების ურთიერთკავშირის აღიარება ხაზს უსვამს თანამშრომლობითი ძალისხმევის მნიშვნელობას ამგვარი მიცემულობის ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.[6]

საერთაშორისო თანამშრომლობა ცალსახად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მყარი და ძლიერი ინსტიტუტებისა და შესაბამისად სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებამ, მიზნობრივი დახმარების გაწევამ და ინკლუზიური მმართველობის მოდელების პოპულარიზაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს მყიფე სახელმწიფოების სტაბილიზაციას. მნიშნელოვანია ამგვარი თანამშრომლობის პირობებში გამოცდილებასთან ერთად მატერიალური დახმარებაც, რაც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ამა თუ იმ რეფორმის წარმატებით ინიცირებისა თუ იმპლემენტაციის პროცესში. არსებული მოცემულობის გათვალისწინებით საგულისხმოა, როგორც ცალკეული სახელმწიფოების ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების როლი. თანამშრომლობითი ძალისხმევა ასევე გულისხმობს ინიციატივების მხარდაჭერას, რომლებიც ადგილობრივ თემებს გაძლიერებასა და მდგრადობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

დასკვნა

შეჯამების სახით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მყიფე სახელმწიფოების კონცეფცია ავლენს მრავალმხრივ პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგანან ქვეყნები, რომლებიც სტაბილურობისა და კეთილდღეობისკენ ისწრაფვიან. სიმყიფე ხშირად გამომდინარეობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სისუსტეების კომბინაციიდან, რომლებიც ხელს უშლიან ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნას. არსებული სირთულეების თვალის გასწორების პარალელურად, მნიშვნელოვანია გვესმოდეს ამ გამოწვევების ტრანსფორმაციული პოტენციალი. არასტაბილური სახელმწიფოების დინამიკისა და სხვადასხვა კონტექსტიდან შესწავლით, ქვეყნებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ მდგრადი განვითარების კურსი, რათა უზრუნველყონ საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობა.

[6] Carment, David , and Samy Yiagadeesen. 2023. Handbook of Fragile States. UK: The Lypiatts.

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

ბიბლიოგრაფია

Carment, David , and Samy Yiagadeesen. 2023. *Handbook of Fragile States.* UK: The Lypiatts.

Federal Ministry for Economic Cooperation and Development (Ed). 2007. *Transforming Fragile States: Examples of Practical Experience.* UK: Nomos Verlagsgesellschaft.

J, Acemoglu D Robinson. 2012. *Why Nations Fail.* New York: crown publisher. New York.

Robinson, Daron Acemoglu and James A. 2012. *Why Nations Fail.* New York: the United States by Crown Publishers.